

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №50**

25 აგვისტო 2023 წ.
12:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ავთანდილ ცინცაძე, არჩილ გორდულაძე, აკაკი ალადაშვილი, მიხეილ კაკაურიძე.

მოწვეული სტუმრები:

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი-ირაკლი თავართქილაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

1. „ქალაქ თბილისში, ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.72.58.046.002) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **საკრ.№12-03232282-03 16/08/23**

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032322052-03 09/08/23**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ენსი დეველოპმენტს“ (ს/ნ: 405385925 - დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა დეველოპმენტ“ - ს/ნ: 405385925) შორის 2021 წლის 11 ივნისს გაფორმებული „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10 755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „დეკა დეველოპმენტის“ (ს/ნ: 405385925) გათავისუფლების თაობაზე. **საკრ.№12-03232285-03 16/08/23**

4. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში N01.19.39.006.207 და N01.19.39.006.208 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯამურად - 11 228 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთების, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ბრ დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ: 405596573), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“. **საკრ.№12-032322034-03 09/08/23**

5. ქალაქ თბილისში, აეროდრომის დასახლება, XI ქუჩა, კორპუსი 3-თან არსებული 860 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.014.045) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032320842-03 27/07/23**

6. ქ. თბილისში, გამზირი ილია ჭავჭავაძე, N50-54-ის მიმდებარედ არსებული 2432 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.004.047) 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარიტასთვის“ (ს/ნ: 204862791) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032322137-03 11/08/23**

7. ქ. თბილისში, კელიას ქ. N8-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.06.008.108) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კლასიკ დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ: 402020184) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-03232281-03 16/08/23**

8. ქალაქ თბილისში, ც.დადიანის ქუჩა N105-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.12.13.087.004.01.501) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი ქალი და რეალობისთვის“ (ს/ნ:400052134) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032322137-03 11/08/23**

9. ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032320842-03 27/07/23**

10. ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-03232283-03 16/08/23**

11. ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წურწუმის ქუჩა N13-ში არსებული 68.60 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.01.083.009.01.525) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032322035-03 08/08/23**

12. ქალაქ თბილისში, კონსტიტუციის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.01.010.018.02.612 და N01.16.01.010.018.02.050) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032322035-03 08/08/23**

13. ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N14დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.217.01.047) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032322035-03 08/08/23**

14. ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო/რაიონის, კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032322035-03 08/08/23**

15. ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი N6-ის მიმდებარედ არსებული 82.32 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.195.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. **საკრ.№12-032322035-03 08/08/23**

დღის წესრიგი დამტკიცდა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.72.58.046.002) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შპს „ქაითფლაიერის“ (ს/ნ 422719339) წარმომადგენელმა მიმართა სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა მის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, შატბერაშვილისა და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ არსებული 1478 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 011.14.12.003.038) ადგილმონაცვლეობა.

კომპანია, მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნავს, რომ დედაქალაქის ახალი „გენგემის“ დამტკიცებამდე მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა სზ-3, ხოლო არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 ივლისის წერილით გაიცა თანხმობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენებისა და განაშენიანების დამტკიცებული გეგმის კორექტირებაზე და მიწის ნაკვეთს მიენიჭა სზ-3 შემდეგი კოეფიციენტებით: კ1-0,5; კ2- 1,8, კ3- 0,25.

ახალი გენგემის დამტკიცების შედეგად მიწის ნაკვეთზე გავრცელდა სატყეო ზონა. თემატური რუკის მიხედვით კი ვრცელდება გამწვანებული ტერიტორიების ფენა და ისტორიული ნაწილის დამცავი ზონა. შესაკუთრეს შეუზღუდა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების შესაძლებლობა.

მომხსენებლის განმარტებით, კომპანიამ ადგილმონაცვლეობის მიზნებისთვის ითხოვა სოფელ ლისში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 55 972 კვმ მიწის ნაკვეთიდან (საკ/კოდი 01.14.12.003.038) შესაბამისი ღირებულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა..

როგორც ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, სააგენტოს მიერ გაცვლის ფორმით პროვატიზების მიზნებისთვის, შპს „ქაითფლაიერისთვის“ შეთავაზებული იქნა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე 9500 კვმ მიწის ნაკვეთი (საკ/კოდი 01.72.58.046.002)

ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარე არსებული 1478 კვმ მიწის ნაკვეთის (ს/კ 011.14.12.003.038) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, 01.72.58.046.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 9500 კვმ მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზება.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნებით, 315052 ლარით აღემატება კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას.

კომპანია თანხმობას აცხადებს გაცვლის ფორმით პროვატიზებაზე და გამოთქვამს შუაობას განახორციელოს 316100 ლარის გადახდა მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ.

მომხრე- 7 თავი შეიკავა მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2019 წლის 9 ივლისს გაფორმდა „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება. ხელშეკრულების 1.2 პუნქტის თანახმად, ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცა შემდეგი უძრავი ქონებები:

ა) ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სოფლის შემოგარენში არსებული 7204 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.11.09.001.053);

ბ) ქალაქ თბილისში, რადიოქარხნის ტერიტორიის მიმდებარე არსებული 824 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.11.09.001.158);

გ) ქალაქ თბილისში, გლდანის VII მ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარე არსებული 4836 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.11.09.001.132);

დ) ქ. თბილისში, სოფელ გლდანში, გლდანის შემოგარენში არსებული 1309 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.11.09.001.178).

ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთები, დღეის მდგომარეობით, გაერთიანებულია ერთ საკადასტრო ერთეულად (ს/კ N01.11.09.001.203).

ხელშეკრულების მე-3 პუნქტის 3.1 ქვეპუნქტის თანახმად, საპრივატიზებო პროცესში განისაზღვრა საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე ერთი ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული საფეხბურთო მოედნისა (შესაბამისი

ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) და ერთი მინი საფეხურთო მოედნის (შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) მოწყობა არაუგვიანეს 2020 წლის ბოლომდე.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 9 თებერვლის N22.139.153 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N35 განკარგულების საფუძველზე განხორციელებული ცვლილების შედეგად, ხელშეკრულების 3.1. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3.1. საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე ერთი ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული საფეხურთო მოედნის „შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) და ერთი მინი საფეხურთო მოედნის (შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) მოწყობა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივლისისა“.

გარდა ამისა, ამავე განკარგულებების საფუძველზე, ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია (ს/ნ: 201990079), ასევე გათავისუფლდა ხელშეკრულების 3.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.3 ქვეპუნქტის შესაბამისად, 2021 წლის 6 იანვრიდან შეთანხმების გაფორმებამდე (25.02.2022წ) პერიოდზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან.

ხელშეკრულების მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტით განსაზღვრულია ხელშეკრულების 3.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობის შესრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის გამო დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა, რომელიც განსაზღვრულია 100 (ასი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომლის დარიცხვაც გრძელდება ამ საპრივატიზებო პირობის შესრულებამდე.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქონების შემძენმა 2022 წლის 14 დეკემბერს განცხადებით მომართა სააგენტოს და განმარტა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ, პრივატიზირებული უძრავი ქონების ტერიტორიაზე, მითითებული განცხადების წარმოდგენის დროისათვის, უკვე იყო მოწყობილი საფეხურთო მოედანი შესაბამისი ინფრასტრუქტურით, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტობრივად აშენებულ და შეთანხმებულ პროექტს შორის დაფიქსირდა გარკვეული ცდომილება, რისთვისაც საჭირო გახდა შეთანხმებული პროექტის კორექტირება, შესაბამისად, ფერხდებოდა ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების საკითხი და წარმოდგენილი სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 24 ივლისის N005185223 ექსპერტიზის დასკვნისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2023 წლის 7 ივლისის №-10/01231854034-17 ბრძანების საფუძველზე, ითხოვა, ხელშეკრულების 3.1 ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების დადასტურება და ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების თარიღისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება, ვინაიდან დარღვევა გამოწვეული იყო ზემოაღნიშნული ობიექტური მიზეზებიდან გამდინარე.

ქონების შემძენს ხელშეკრულების 3.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.3 ქვეპუნქტის თანახმად 2022 წლის 31 ივლისიდან - 2023 წლის 7 ივლისამდე პერიოდზე (ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებამდე) ეკისრება პირგასამტეხლო - ჯამში 34 100 (ოცდაათოთხმეტი ათას ასი) ლარის ოდენობით.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, რომ ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ, ქალაქ თბილისში, გლდანის VII მ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.11.09.001.203) უზრუნველყოფილია ერთი ხელოვნურსაფარიანი სტანდარტული საფეხურთო მოედნის (შესაბამისი ინფრასტრუქტურით) და ერთი მინი საფეხურთო მოედნის (შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) მოწყობა, რომელიც მიღებულია ექსპლუატაციაში 2023 წლის 7 ივლისს, რასაც ასევე ადასტურებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2023 წლის 7 ივლისის №-10/01231854034-17 ბრძანება, რომლის თანახმად, ექსპლუატაციაში იქნა მიღებული ქალაქ თბილისში, გლდანის VII მ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარედ (ს/კ N01.11.09.001.203) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი (სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტი, სპორტული მოედანი (საფეხურთო სკოლა) - II კლასი), შესაბამისად, დასტურდება ხელშეკრულების 3.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით ითვალისწინებს 2019 წლის 9 ივლისს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“

ხელშეკრულების მე-3 პუნქტის 3.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.3 პუნქტის შესაბამისად, 2022 წლის 31 ივლისიდან - 2023 წლის 7 ივლისამდე პერიოდზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამში - 34 100 ლარის ოდენობით), ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლებს.

მომხრე- 7 თავი შეიკავა მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ენსი დეველოპმენტს“ (ს/ნ: 405385925 - დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა დეველოპმენტ“ - ს/ნ: 405385925) შორის 2021 წლის 11 ივნისს გაფორმებული „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10 755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისაგან შპს „დეკა დეველოპმენტის“ (ს/ნ: 405385925) გათავისუფლების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 09 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის N21.536.625 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის N192 განკარგულებების საფუძველზე განხორციელდა ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული შპს „ენსი დეველოპმენტისათვის“ (ს/ნ: 405385925) ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10 755 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება.

ზემოაღნიშნული განკარგულებების საფუძველზე, შორის 2021 წლის 11 ივნისს მხარეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება. ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები.

ხელშეკრულების 3.5. პუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის სრული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვა/ნებართვები კომპანიას უნდა მოეპოვებინა არაუგვიანეს 2022 წლის 12 მარტისა.

არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 27 დეკემბრის №5744780 ბრძანებით „ა-1“ ბლოკზე შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 1 თებერვლის № 5784681 ბრძანებით გაიცა სამშენებლო ნებართვა (განცხადების ნომერი: AR1874436);

არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 მარტის N5849528 ბრძანებით „ბ1“ ბლოკზე: შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 25 მარტის №5866467 ბრძანებით გაიცა სამშენებლო ნებართვა (განცხადების ნომერი: AR1887222);

აღსანიშნავია, რომ არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 22 აგვისტოს №6090301 ბრძანებით (განცხადების ნომერი: AR1918615) ძალადაკარგულად გამოცხადდა არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 27 დეკემბრის №5743190 ; 2021 წლის 27 დეკემბრის №5744780 ; 2022 წლის 01 თებერვლის №5784681 და 2022 წლის 08 თებერვლის №5795433 ბრძანებები. ამასთან, აღნიშნული ბრძანებით, აგრეთვე, დგინდება, რომ კომპანიის 2022 წლის 10 აგვისტოს №AR1917431 განცხადები არქიტექტურის სამსახურში წარდგენილია განაცხადი, „ა-1“, „ა-2“ და „ბ-2“ ბლოკების გაერთიანებასთან დაკავშირებით.

არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 თებერვლის N6342051 ბრძანებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის „I და II ბლოკი“ არქიტექტურული პროექტი (განცხადების ნომერი: AR1917431) და არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6377931 ბრძანებით გაიცა სამშენებლო ნებართვა (განცხადების ნომერი: AR1951648).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ დღეის მდგომარეობით, ძალაშია „ბ-1“ ბლოკზე არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 16 მარტის N5849528 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი და 2022 წლის 25 მარტის №5866467 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვა (განცხადების ნომერი: AR1874436); ასევე, არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 თებერვლის N6342051 ბრძანებით შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის „I და II ბლოკი“ არქიტექტურული პროექტი (განცხადების ნომერი: AR1917431) და 2023 წლის 21 მარტის №6377931 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვა (განცხადების ნომერი: AR1951648). შესაბამისად, კომპანიის მიერ სრულად არის მოპოვებული სამშენებლო ნებართვები და აღნიშნული ვალდებულება შესრულდა 2023 წლის 21 მარტს, ნაცვლად - 2022 წლის 12 მარტისა. გამომდინარე აქედან, კომპანიის მიერ მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვალდებულება დარღვეულია 373 დღით (სამას სამოცდაცამეტი და კომპანიას ერიცხება პირგასამტეხლო 186 500 (ას ოთხმოცდაექვსი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით (ყოველდღიურად საბანკო გარანტიის 0,1% - 500 ლარის ოდენობით).

კომპანიის მიერ, ასევე, დარღვეულია/ირღვევა ხელშეკრულების 3.1. პუნქტით ნაკისრი ვალდებულება, რომლის მიხედვით: „კომპანია ვალდებულია საჯარო რეესტრში პირის მომავალ მესაკუთრედ რეგისტრაციის გზით, გადასცეს სამომავლო საკუთრების უფლება შესაბამის ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე, შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვებიდან არაუგვიანეს 2 - ორი - თვის ვადაში“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების თანახმად განსაზღვრულ პირთა სამომავლო საკუთრების უფლების რეგისტრაციის ვადის ათვლა დაიწყო 2023 წლის 22 მარტიდან და დასრულდა - 2023 წლის 22 მაისს. ვინაიდან, დღეის მდგომარეობით, „ბ-1“ ბლოკზე „განშლის ოქმი“ რეგისტრირებულია (საჯარო რეესტრში წარდგენილი განცხადების ნომერი: 882022270079 ; ამონაწერის მომზადების თარიღი: 31/05/2022წ), თუმცა, სრულად სააგენტოსადმი არ არის წარმოდგენილი „კოოპერატივის წევრთა“ სამომავლო საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერები ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ ფართებზე.

ამასთან, „I და II ბლოკი“-ზე არ დგინდება არც „განშლის ოქმის“ რეგისტრაციის ფაქტი, სადაც გათვალისწინებულ უნდა იქნას სააგენტოს 2023 წლის 16 იანვრის N61-01230163092 წერილით განსაზღვრული და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი შემდეგი ინდივიდუალური ფართები: „ბლოკი 1“ ; ბინა N5 - საერთო ფართი: 61.7 კვ. მ; „ბლოკი 2“ ; ბინა N10 - საერთო ფართი: 54.8 კვ. მ. შესაბამისად, ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო პირგასამტეხლოს დარიცხვა გრძელდება ყოველდღიურად, ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო პირგასამტეხლოს ოდენობა იანგარშება გადასაცემი შესაბამისი ფართების (დასრულებულ მდგომარეობაში) საბაზრო ღირებულების 0,02 (ნული მთელი ორი მეასედი) %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მოცემულ შემთხვევაში, დაანგარიშება დაიწყება 2023 წლის 23 მაისიდან და გრძელდება ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

გარდა ამისა, სააგენტოს 2023 წლის 11 აგვისტოს N61-01232231656 წერილით კომპანიას ეცნობა გადასაცემი ფართების (დასრულებულ მდგომარეობაში) საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით, შესაბამისი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის თაობაზე, თუმცა კომპანიის 2023 წლის 15 აგვისტოს N19-012322773-61 განცხადებით სააგენტოს განემარტა, რომ პირგასამტეხლოს შეფასებისთვის საბაზრო ღირებულების დადგენის კომპეტენცია გააჩნია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, რომლის მომსახურების გამოყენება დაკავშირებულია დამატებით დროსთან და ეთხოვა საკითხის განხილვის დროს უხელმძღვანელა კომპანიის და ბაზარზე არსებული სხვა დეველოპერების პრაქტიკით ქ. თბილისში, კერძოდ დიდი დილმის ტერიტორიაზე მშენებარე საცხოვრებელი ფართის საშუალო სარეალიზაციო ფასით - 800 აშშ დოლარი კვ. მეტრზე.

აღნიშნული ვალდებულებების შესრულების ვადის დარღვევა, კომპანიის მიერ 2023 წლის 2 აგვისტოს წარმოდგენილი N04-0123214472-61 განცხადების თანახმად, გამოიწვია მათგან დამოუკიდებელმა და ობიექტურმა მიზეზებმა, კერძოდ: ს/კ: N01.10.08.006.230 უძრავ ქონებაზე/მიწის ნაკვეთზე გამავალი/არსებული შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საკუთრებაში არსებული სანიაღვრე არხის მდებარეობა არ დაემთხვა არსებული გეგმით განსაზღვრულ განთავსების წერტილებს. შესაბამისად, „ა-1“, „ა-2“ და „ბ-2“ ბლოკები შეთანხმებული გენგეგმით ვერ აშენდებოდა. დგინდება, რომ აღნიშნულ ბლოკზე ახალი არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე, კომპანიის მიერ მიმართულ იქნა არქიტექტურის სამსახურისადმი 2022 წლის 10 აგვისტოს AR1917431 განცხადებით, თუმცა, პროექტის შეთანხმებაზე თანხმობა გაიცა არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 24 თებერვლის N6342051 ბრძანებით. ამასთან, არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 მარტის N6377931 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა (განცხადების ნომერი AR1951648).

კომპანიის განმარტებით, სრულად სამშენებლო ნებართვ(ებ)ის დაგვიანებით მოპოვება განპირობებულ იქნა იმით, რომ კომპანიას მოუწია უკვე შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტზე უარის თქმა, რის გამოც, განიცადა მძლავრი ფინანსური დანახარჯი, ხელახალი პროექტირება, რამაც თავისთავად მოითხოვა დამატებითი ვადები და კომპანიის განმარტებით, შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციასა და მათგან თანხმობის მიღების პროცესს/შესაბამის პროცედურას, დასჭირდა საკმაოდ დიდი დრო, რამაც თავის მხრივ, ასახვა ჰპოვა პროექტის განხორციელების/შეთანხმების გეგმა-გრაფიკზეც.

აგრეთვე, პრობლემური აღმოჩნდა ტერიტორიაზე რეგისტრირებული და დაურეგისტრირებელი მიწისქვეშა ხაზობრივი (ელ. გაყვანილობის კაბელი, წყალარინების ქსელი, ბუნებრივი აირის მილები და ა.შ) მათი რაოდენობისა და მასშტაბურობის გათვალისწინებით, რამაც კომპანიის განმარტებით ცალსახად მოახდინა სამშენებლო პროექტის დროში გაჭიანურება. კერძოდ, პროექტის შეთანხმების პროცესში ასევე, საჭირო გახდა შპს „თბილისი ენერჯის“ ხაზობრივი ნაგებობების აღწერა და შესაბამისი საჯარო-სამართლებრივი სერვიტუტის რეგისტრაცია, რამაც, ასევე შეაფერხა აღნიშნული პროცესი. ამასთან, დასახელებულ ტერიტორიაზე სამუშაოების დაწყების შემდგომ, მიწის ნაკვეთზე ფუნდამენტის დონეზე აღმოჩნდა/დაფიქსირდა გრუნტის წყლები. უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის მიზნით, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება უზრუნველყოფა ახალი კონსტრუქციების გაანგარიშება ხიმინჯების გათვალისწინებით, რაც თავის მხრივ, მაღალ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, არსებითად მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ კომპანია ხელშეკრულების 3.2. პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ჯამში 6100 კვ. მეტრის ფართებიდან დაახლოებით 5990 კვ.მ. ფართს „კოოპერატივის წევრებს“ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს/სააგენტოს გადასცემს „ბ-1“ ბლოკში/კორპუსში, ხოლო, რაც შეეხება ხელშეკრულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემ დარჩენილ ორ საცხოვრებელ ფართზე, კომპანიის განმარტებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამომავლო საკუთრების უფლების რეგისტრაცია განხორციელდება არაუგვიანეს განკარგულების გამოცემიდან 3 (სამი) თვისა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების 6.1.1. პუნქტის თანახმად, ინტერესთა გამოხატვაში წარდგენილი წინადადების, ამ ხელშეკრულების გაფორმებისა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისი სამშენებლო ნებართვ(ებ)ის მოპოვების უზრუნველსაყოფად, კომპანიამ სააგენტოს სასარგებლოდ წარმოადგინა სს „თიბისი ბანკის“ მიერ გაცემული №7219284-11182055 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ოდენობის გამოუხმობადი და უპირობო საბანკო გარანტია. მითითებული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ამოიწურა 2022 წლის 12 ივლისს, რის შემდეგაც სააგენტოს 2022 წლის 25 აგვისტოს N61-0122237992 წერილით კომპანიას ეთხოვა წერილის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში, წარმოგედგინა 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც განსაზღვრული იქნებოდა არანაკლებ 1 (ერთი) წლით და რომელიც უზრუნველყოფდა ხელშეკრულების 3.5. პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვების ვალდებულების შესრულებას, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი სააგენტოში დღემდე წარმოდგენილი არ არის.

ამასთან, ვინაიდან კომპანიის მიერ 2023 წლის 21 მარტის მდგომარეობით, სრულად იქნა მოპოვებული სამშენებლო ნებართვები და შესრულდა ხელშეკრულების 3.5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ადასტურებს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ

საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შპს „დეკა დეველოპმენტს“ (ს/ნ: 405385925) აღარ ეკისრება ხელშეკრულების 6.1.1 პუნქტით გათვალისწინებული - ვადაგაგრძელებული ან/და ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენის ვალდებულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს N23.1207.1339 განკარგულების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს ხელშეკრულების 3.1. და 3.5 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1.2. და 6.1.5 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან, შპს „დეკა დეველოპმენტს“ (ს/ნ: 405385925) გათავისუფლებას.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში N01.19.39.006.207 და N01.19.39.006.208 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჯამურად - 11 228 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთების, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის - შპს „ბრ დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ: 405596573), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, 2023 წლის 2 მარტიდან 2023 წლის 7 აპრილის ჩათვლით გამოცხადდა ინტერესთა გამოხატვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, სამგორის რაიონში მდებარე N01.19.39.006.207 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5763 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთისა და აგრეთვე, მის მომიჯნავედ, N01.19.39.006.208 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5465 კვ.მ ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის პრივატიზება, მასზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივის წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ2) განისაზღვრა არაუმეტეს 4.2-ით, ხოლო ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე სუბიექტების მიერ გადასაცემი ფართის მინიმალური შეთავაზება - 4750 კვ.მ-ით.

აღნიშნული ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განაცხადების წარმოდგენისათვის განსაზღვრულ ვადაში სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 2 დაინტერესებული პირის განცხადება, ამასთან, შპს "ბრ დეველოპმენტის" (ს/ნ: 405596573) მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო წინადადება, ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში განსახორციელებელი სამშენებლო პროექტიდან სააგენტოსთვის / კოოპერატივის წევრებისთვის / სააგენტოს მიერ განსაზღვრული სხვა პირებისთვის გადასაცემი სამშენებლო ფართი - 9100 კვ.მ ოდენობით (თეთრი კარკასის მდგომარეობით) - უპირატესი იყო სხვა დაინტერესებული სუბიექტის მიერ წარმოდგენილ წინადადებასთან მიმართებით და გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "ბრ დეველოპმენტი" (ს/ნ: 405596573).

მომხსენებელმა განმარტა, რომ კოოპერატივის წევრების სიის ფორმირება განხორციელდა სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა კოოპერატივის იმ წევრების დაკმაყოფილება (117 პირი), რომელთაც, სიის ფორმირების ეტაპისათვის სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია და სხვებთან შედარებით დაბალი სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სიის ფორმირებისას, ასევე, გათვალისწინებულ იქნა კოოპერატივების წევრთა მიერ მისაღები ფართობის ფართობი, რაც არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებაა, იმდენად, რამდენადაც ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებული კონკრეტული პროექტის ფარგლებში, შესაძლებელია დაზარალებულ პირთათვის ჯამში მხოლოდ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ შემოთავაზებული ოდენობის ფართის გადაცემა. შესაბამისად, სიის ფორმირებისას სააგენტო შეზღუდულია კონკრეტული ოდენობის ფართით, ვინაიდან, კოოპერატივის წევრების მიერ მისაღები ფართი ჯამურად უნდა შეადგენდეს კომპანიის მიერ შემოთავაზებულ ფართობს. დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების პროცესში, აღნიშნული, გარკვეულწილად, განაპირობებს მათი რიგითობის განსაზღვრას. გადასაცემი ფართის ჯამური ფართობის

კონკრეტული რიცხვით შეზღუდვის გამო, საჭირო გახდა რამდენიმე კოოპერატივის წევრისათვის გადასაცემი ინდივიდუალური ფართის შემცირება არაუმეტეს 3 კვ.მ-ით, რათა კოოპერატივის წევრების მიერ მისაღები ინდივიდუალური ფართების ჯამურად არ ყოფილიყო 9100 კვ.მ-ზე მეტი.

განკარგულების დანართებით გათვალისწინებულმა კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი განცხადებების საფუძველზე, დაადასტურეს, რომ თანახმანი არიან, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ შემოადნობილი მიწის ნაკვეთიდან ამ განკარგულების დანართი N1-ით და დანართი N2-ით გათვალისწინებული შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში კონკრეტული ფართის უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი განკარგულების დანართი N1-ის მე-5, 24-ე, 26-ე, 29-ე და 44-ე პუნქტებით გათვალისწინებული N629 კოოპერატივის წევრებს (5 წევრი) კოოპერატიული ბინათმშენებლობიდან გამომდინარე, საკუთრებაში აქვთ მიღებული უძრავი ქონება, მათ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა, რომლითაც, აღნიშნული პირები, ქ. თბილისში, სამგორის რაიონში N01.19.39.006.207 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 763 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთიდან განსაზღვრული წილის საკუთრებაში მიღების სანაცვლოდ, მოგვიანებით, კომპანიის მიერ, ამავე მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში შესაბამისი ფართის (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვის გადაცემის შესაძლებლობის გათვალისწინებით, უარს ამბობენ ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზ. N70-ის მიმდებარედ, კორპ. N2, კორპ. N3 (ყოფილი ავჭალის გზატკეცილი N64), N01.12.01.005.137 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 3054 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან (შენობა-ნაგებობიდან) მათ კუთვნილ წილზე და აღნიშნულ ქონებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს.

გარდა ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 23 ივნისს სარჩელით მიმართა, N598 ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრმა ზვიად ჯაფარიძემ (პ/ნ 01026005104), ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით. აღნიშნული პირი სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით მონაწილეობს წინამდებარე პროექტში, გამომდინარე აქედან მითითებული პირის ნაწილში საპრივატიზებო პირობად განისაზღვრება შემდეგი: „ამ განკარგულების დანართი 1-ის 21-ე პუნქტით გათვალისწინებული N598 ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი ზვიად ჯაფარიძე (პ/ნ 01026005104) ვალდებულია, რომ ამ განკარგულების დანართი N3-ით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა უარი თქვას თბილისის საქალაქო სასამართლოში 2023 წლის 23 ივნისს წარდგენილ სარჩელზე (საქმის №3/4244-22) და სააგენტოში წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია“.

მომხრე- 8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გასცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, აეროდრომის დასახლება, XI ქუჩა, კორპუსი 3-თან არსებული 860 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.014.045) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს წერილით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნმა, დეკანოზ მიქაელ ბოტკოველმა, რომელმაც ითხოვა ქალაქ თბილისში, აეროდრომის დასახლება, XI ქუჩა, კორპუსი 3-ში არსებული 860 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.014.045) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით. სააგენტომ, მოქალაქე (მამა) შალვა ჯაჯანიძის (პ/ნ: 01002026966) მიერ განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, განახორციელა მოთხოვნილი უძრავი ქონების ადგილზე აზომვა და 2023 წლის 20 ივნისს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო

რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მიმართვის შემდგომ განახორციელა 860 კვ.მ მიწის ნაკვეთის N01.19.20.014.045 საკადასტრო კოდით რეგისტრაცია.

წარმოდგენილი პროექტით განიხილება N01.19.20.014.045 საკადასტრო ერთეულის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემის საკითხი.

მომხრე- 7 თავი შეიკავა მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით

მოისმინეს: ქ. თბილისში, გამზირი ილია ჭავჭავაძე, N50-54-ის მიმდებარედ არსებული 2432 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.004.047) 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მარიტასთვის“ (ს/ნ: 204862791) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შპს „მარიტას“ (ს/ნ: 204862791) წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N50-54-ის მიმდებარედ არსებული 2432 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.004.047) 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერების მიხედვით, აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია ქ. თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირი N50-ში მდებარე N01.14.11.004.004.01.563 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული რეგისტრირებული უძრავი ქონება.

მოთხოვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს. სააგენტოს წარედგინა აღნიშნული სამსახურის წერილობითი პოზიცია რომლის მიხედვითაც თანხმობას აცხადებენ მიწის ნაკვეთის იჯარის უფლებით განკარგვის თაობაზე და ამასთან, აღნიშნავენ, რომ ღია კაფეს მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იყოს ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

იჯარის მოქმედების ვადაა 5 (ხუთი) წელი, წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 3 120 (სამი ათას ასოცი) ლარით.

მომხრე- 7 თავი შეიკავა მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით

მოისმინეს: ქ. თბილისში, კედის ქ. N8-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.06.008.108) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კლასიკ დეველოპმენტისთვის“ (ს/ნ: 402020184) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შპს „კლასიკ დეველოპმენტს“ (ს/ნ: 402020184 იჯარით გადაეცემა ქ. თბილისში, კედის ქ. N8-ის (საკადასტრო კოდი: 01.13.06.008.086) მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.13.06.008.108).

მომხსენებელმა განმარტა, რომ კომპანია მის განცხადებაში აღნიშნავს, რომ მშენებლების შეცდომით მოხდა არსებული კიბის 60 სმ-ით აცდენა წითელი ხაზებიდან და სურს შეცდომის გამოსწორება და კანონთან შესაბამისობაში მოყვანა. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ძველი პროექტით არ იყო გათვალისწინებული შპს პირებისათვის პანდუსი-ასასვლელი, რისი მოწყობაც გათვალისწინებული იქნება.

მოთხოვნილ 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე კიბის და პანდუსის მოწყობასთან და ამ მიზნით აღნიშნული მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით, პოზიცია ეთხოვა სსიპ - ქ. თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს. პასუხად მიღებული წერილების თანახმად, აღნიშნული სამსახურები არ არიან წინააღმდეგნი, მოთხოვნილი მიწის ნაკვეთი გაიცეს იჯარით - ტროტუარის დარჩენილი მონაკვეთის 3 მეტრი სიგანის გათვალისწინებით. ასევე სააგენტოში დამატებით წარმოდგენილი განცხადებით, კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კიბის და პანდუსის მოწყობისას გათვალისწინებული იქნება მერიის სამსახურების პოზიცია ტროტუარზე 3 მ. სიგანის თავისუფალი სივრცის დატოვების შესახებ. იგივე განცხადებით, მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა ითხოვეს 10 წლით.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხი, 5 წლის ვადით, ნაცვლად მოთხოვნილი ათწლიანი ვადისა, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 2736 ლარის ოდენობით.

მომხრე- 7 თავი შეიკავა მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ც.დადიანის ქუჩა N105-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.12.13.087.004.01.501) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი ქალი და რეალობისთვის“ (ს/ნ:400052134) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი ქალი და რეალობის“ (ს/ნ:400052134) გამგეობის თავმჯდომარემ თამარ მაჭარაშვილმა 2023 წლის 26 ივნისს და 20 ივლისს განცხადებებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ.თბილისში, ც.დადიანის ქუჩა N105-ში, 1 სართულზე არსებული 148.60 კვ.მ ფართიდან 121.52 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.12.13.087.004.01.501) სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა, არასამთავრობო ორგანიზაცია ქალი და რეალობის ოფისის განთავსების მიზნით.

მომხსენებლის განმარტებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტი ვალდებულია კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშაოს და დანერგოს დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერისა და სოციალური ინკლუზიის პროგრამები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობით და მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. შესაბამის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ სათანადო ფუნქციების მქონე სხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან ერთად ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების საინფორმაციო-საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისების დანერგვას და განვითარებას. ამასთან ქალი და რეალობა არის ერთერთი დამფუძნებელი შპს პირთა ეროვნული ქსელის, რომელიც დღეისთვის აერთიანებს შპს ქალთა საკითხებზე მომუშავე 13 ორგანიზაციას თბილისსა და რეგიონებში. შესაბამისად, შპს ქალთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და გაძლიერების ცენტრი, კონსულტირებას გაუწევს და მხარს დაუჭერს შპს ქალთა ქსელში შემავალ ორგანიზაციებს, როგორც ცენტრში ასევე რეგიონებში.

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ზემოაღნიშნული უძრავი ქონების უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი ქალი და რეალობისთვის“ (ს/ნ:400052134) 2 (ორი) წლის ვადით.

მომხრე- 7 თავი შეიკავა მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 5 პირს (ოჯახს). საერთო ჯამში გადაეცემათ - 244.96 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.

შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე მარიკა წულეისკირი (პ/ნ: 58001026279) ოჯახთან ერთად 2016 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე; დავითი არაბიძე (პ/ნ: 01019062234) 2016 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე; ლელა გამყრელიძე (პ/ნ: 36001050388) ოჯახთან ერთად 2016 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე; გელა ქაჯაია (პ/ნ: 29001001865) ოჯახთან ერთად 2016 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე და მაია ბრეგაძე (პ/ნ: 60002018205) 2016 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე

მომხრე- 7 თავი შეიკავა მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ჰოსპიტალის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი უძრავი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა 5 ოჯახს. საერთო ჯამში გადაეცემათ - 159.95 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება.

შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე თამარ ბიძინიშვილი (პ/ნ: 34001000477) შვილთან (მარიამ ტყეშელაშვილი (პ/ნ: 01005040218)) ერთად 2016 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე; მოქალაქე შორენა მარჩილაშვილი (პ/ნ: 01029009271) ოჯახთან ერთად 2016 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე; მოქალაქე ხათუნა ჯამასპიშვილი (პ/ნ: 14001018589) ოჯახთან ერთად 2016 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე; მოქალაქე თამარი ნიჟარაძე (პ/ნ: 60003009380) ოჯახთან ერთად 2016 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე; მოქალაქე გოჩა სტეფლიანი (პ/ნ: 22001023147) 2016 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე- 7 თავი შეიკავა მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წურწუმის ქუჩა N13-ში არსებული 68.60 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.01.083.009.01.525) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, ალექსანდრე წურწუმის ქუჩა N13, 1 სართულზე არსებული 68.60 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.01.083.009.01.525) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ხათუნა ხუციაშვილს (პ/ნ: 01015023971).

შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დასტურდება, რომ მოქალაქე ხათუნა ხუციაშვილი დაახლოებით 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე- 7 თავი შეიკავა მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, კონსტიტუციის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდები: N01.16.01.010.018.02.612 და N01.16.01.010.018.02.050) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, კონსტიტუციის ქუჩა N2ა-ში, მეოთხე სართულზე არსებული 18.00 კვ.მ ფართის ბინა N50-ი (საკადასტრო კოდი: N01.16.01.010.018.02.050) და შენობა N2-ში, მეოთხე სართულზე არსებული 3.00 კვ.მ დამხმარე ფართი (სათავსოს) (საკადასტრო კოდი: N01.16.01.010.018.02.612) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ქეთინო თევზაძეს (პ/ნ 01001065663).

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ ქეთინო თევზაძე ოჯახთან ერთად დაახლოებით 20 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. მოქალაქის მიერ დაკავებული 3 კვ.მ სათავსში ფაქტობრივად მოწყობილია სველი წერტილი.

მომხრე- 7 თავი შეიკავა მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N14დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.217.01.047) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N14დ-ში, პირველ სართულზე არსებული 74.46 კვ.მ ფართის ბინა N47-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.217.01.047) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე გოჩა ბაჩოშვილს (პ/ნ 36401054047).

შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ გოჩა ბაჩოშვილი მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2006-2007 წლებიდან;

მომხრე- 7 თავი შეიკავა მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო/რაიონის, კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო/რაიონის, კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010) მდებარე 26 (ოცდაექვსი) ერთეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართები პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ცისარტყელას“.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ცისარტყელას“ წევრები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობენ და სარგებლობენ აღნიშნული უძრავი ქონებით (სამზარეულო, სველი წერტილები). ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ცისარტყელას“ საერთო ჯამში გადაეცემა - 479.27 კვ.მ ფართი.

გლდანის დასახლებაში, I მიკრო/რაიონის, კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010) მდებარე შენობა-ნაგებობა წარმოადგენდა საერთო საცხოვრებელს.

მომხსენებელის განმარტებით, დღეის მდგომარეობით მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 126 ოჯახი, რომელთაც 2012 წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, საკუთრებაში გადაეცათ მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი ფართები.

მომხრე- 7 თავი შეიკავა მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი N6-ის მიმდებარედ არსებული 82.32 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.195.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი N6-ის მიმდებარედ, სართული 1-ზე არსებული 82.32 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.195.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ლამარა ლურსმანაშვილს (პ/ნ: 13001031211).

შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე ლამარა ლურსმანაშვილი (პ/ნ: 13001031211), ოჯახთან ერთად, ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შსს ცნობით წარმოდგენილ გასაუბრების ოქმებში მოქალაქეს უდასტურდება 20 კვ.მ ფართის ფლობა, თუმცა ოქმის შედგენის ეტაპზე ქონება არ იყო აზომილი და შესაბამისად, ოქმში მითითებულია დაახლოებითი მონაცემი. ამასთან, მოქალაქეს სხვა დოკუმენტაციით უდასტურდება ფაქტობრივად არსებული ფართის ფლობა..

მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დასტურდება, რომ მოქალაქე ლამარა ლურსმანაშვილი მეუღლის (ვაჟა ლურსმანაშვილის (პ/ნ: 13001007888)) გარდაცვალების შემდგომ, 1997 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე- 7 თავი შეიკავა მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია გასცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გასვლასთან დაკავშირებით.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე



ირაკლი ხელაძე